

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულეების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვის აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერის, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

ქალაქი ფოთი

„24“ თებერვალი, 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გოჩა კურდღელია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან სონგულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. ნანა ჭანტურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. გენადი კაჩაროვსკი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო და მშენებლობის განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);
6. ინგა გიგიბერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).

კომისიის აპარატის წევრები:

1. ამირან კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი).
2. იაგორ რომანაშვილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის მშენებლობის ინსპექტირების განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი).

შენიშვნა: სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებიან კომისიის აპარატის წევრები მათა სულავა, თეო ურუშაძე და თეონა გეთია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულეების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვასთან დაკავშირებული, სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის NAT გამოცხადების, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დამტკიცებისა და ბიჯის განსაზღვრის შესახებ.
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულეების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვის მიზნით სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის (დანართი N 3-ით განსაზღვრული კითხვარი) განხილვა/დამტკიცება.

განხილვა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურმა სატენდერო კომისიას წარუდგინა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულეების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვასთან დაკავშირებული, სატენდერო დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სისტემაში ელექტრონულად შევსებული, სატენდერო პირობების პროექტი (დანართი N 3-ით განსაზღვრული კითხვარი) და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N 12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვა განხორციელდეს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის NAT საშუალებით.
2. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 332186,00 ლარი, დღგ-ს გარეშე, ბიჯი განისაზღვროს 3322,00 ლარის ოდენობით.
3. დამტკიცდეს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ექსპერტიზით შესყიდვის მიზნით, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის NAT სისტემაში, ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა, განახორციელოს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის NAT საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე:

გოჩა კურდელია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ლევან სონგულია

კომისიის წევრები:

ვასილ თოდუა

ნანა ჭანტურია

გენადი კაჩაროვსკი

ინგა გოგიბერია

ამირან კაკულია

კომისიის აპარატის წევრი:

იაგორ რომანაიშვილი